პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 41-ე წელი
№ 132 (12644)

პარასკევი, 7 ივნისი, 1963 წ.

ფასი 2 კაპ.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

კუსტანაის ოლქის არკალიკის საწარმოო სამმართველოს სარიუზენის საბჭოთა მეურნეობის მუშათა და სპეციალისტთა კოლექტივის ინიციატივის შესახებ

კუსტანაის ოლქის არკალიკის საწარმოო სამმართველოს ყამირის სარიუზენის საბჭოთა მეურნეობის მუშათა და სპეციალისტთა კოლექტივმა დაწყებული მეტი წილი პურეულის მოსავალი წელს აიღოს ფართო გატანის მანქანებით და ამის მეოხებით მნიშვნელოვნად გაადიდოს ერთი მუშის გამომუშავება, შეამციროს მოთხოვნილება მექანიზატორულ კადრებზე, შეამციროს პირდაპირი ხარჯები და სახსრების საერთო დანახარჯები მოსავლის აღებაზე.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა სარიუზენის საბჭოთა მეურნეობის მუშათა და სპეციალისტთა კოლექტივის ინიციატივა ფართო გატანის მანქანებით პურეულის მოსავლის აღებაში და მოსავლის აღებაზე შრომისა და სახსრების დანახარჯების ყოველი ღონისძიებით შემცირებაში.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო კომიტეტებსა და საოლქო კომიტეტებს, საწარმოო სამმართველოებს. სამმართველოთა პარტკომებს, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების პარტიულ ორგანიზაციებს განიხილონ კუსტანაის ოლქის არკალიკის საწარმოო სამმართველოს სარიუზენის საბჭოთა მეურნეობის მუშათა და სპეციალისტთა კოლექტივის მიმართვა საბჭოთა მეურნეობისა და კოლმეურნეობების მექანიზატორთა და სპეციალისტთა კრებებზე. უნდა შემუშავდეს ღონისძიებანი, რომ მოსავლის აღება მოეწყოს არსებული შრომითი რესურსებისა და ტექნიკის უფრო რაციონალური გამოყენებით, ფართო გატანის მანქანები ამუშაოს დიდმწარმოებლურად, იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილი იყოს მოსავლის აღება სამუშაოთა დროზე და უდანაკარგოდ დამთავრება, ამასთან ყოველი ღონისძიებით შემცირდეს შრომისა და სახსრების დანახარჯები.

ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო

ინდონეზიის მთავრობის დელეგაცია

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა 6 ივნისს კრემლში მიიღო ინდონეზიის მთავრობის ეკონომიურ საკითხთა დელეგაცია, რომელსაც ინდონეზიის ცენტრალური ბანკის საქმეთა მინისტრი სუმარნო მეთაურობს. მინისტრმა სუმარნომ ნ. ს. ხრუშჩოვს გადასცა ინდონეზიის პრეზიდენტის სუკარნოს წერილი.

ნ. ს. ხრუშჩოვსა და ინდონეზიის მთავრობის დელეგაციის წევრებს შორის გულთადი საუბარი გაიმართა. (საკდესი).

ნ. ს. ხრუშჩოვი კეთილდღეობას უსურვებს კენიის ხალხს

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა კენიის პრემიერ-მინისტრს ჯომო კენიატას მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა იმასთან დაკავშირებით, რომ კენიის აფრიკელთა ეროვნულმა კავშირმა, რომელსაც კენიატა მეთაურობს, გაიმარჯვა კენიის ეროვნული კრების საყოველთაო არჩევნებში და ჯომო კენიატამ პრემიერ-მინისტრის პოსტი დაიკავა. საბჭოთა ხალხი, ნათქვამია დეპეშაში, სავსებით იზიარებს თქვენს მისწრაფებას, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დეკლარაციის შესაბამისად, რომლის თანახმად კოლონიურ ქვეყნებსა და ხალხებს დამოუკიდებლობა უნდა მიენიჭოთ, კენია უკვე უახლოეს მომავალში თავისუფალი და სუვერენული სახელმწიფო გახდეს.

დასასრულ ნ. ს. ხრუშჩოვი დიდ წარმატებებსა და კეთილდღეობას უსურვებს კენიის ხალხსა და პირადად პრემიერ-მინისტრ ჯომო კენიატას. (საკდესი).

დანიის პრემიერ-მინისტრ ე. ო. კრაგის ვიზიტის საკითხისათვის საბჭოთა კავშირში

დანიის პრემიერ-მინისტრ ე. ო. კრაგის თხოვნით, პრემიერ-მინისტრის ვიზიტი საბჭოთა კავშირში, რაც, დასახული იყო 1963 წლის ივნისისათვის, გადაიდო იმასთან დაკავშირებით, რომ ამა წლის 31 მაისს, როგორც პრემიერ-მინისტრი ე. ო. კრაგი იუწყება, დანიის ფოლკეტინგის (პარლამენტი) გადაწყვეტილებით 1963 წლის ივნისის დამლევს დანიშნულია რეფერენდუმი ზოგიერთი კანონპროექტის შესახებ, რომლებიც გაშახილველად აქვს ფოლკეტინგს.

სსრ კავშირში პრემიერ-მინისტრი ე. ო. კრაგის ვიზიტის ვადის საკითხი შეთანხმებული იქნება დამატებით.

ესპანელი ძმების მხარდასაჭერად

პროფესიული კავშირების სრულიად საკავშირო ცენტრალურმა საბჭომ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც საბჭოთა მუშებისა და მოსამსახურეების სახელით ძმური სოლიდარობა და სრული მხარდაჭერა გამოუცხადა ესპანეთის მშრომელებსა და ხალხს მათ ბრძოლაში ეკონომიური და სოციალური მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის, დემოკრატიული და პროფკავშირული თავისუფლებებისათვის.

აღმოვფხვრათ ეროზია

მოსკოვი, 5 ივნისი. (საკდესი). გაიხსნა საბჭოთა კავშირის გ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სესია, რომელიც მაქმღონა უმნიშვნელოვანეს პრობლემას — ნიადაგთა წყლისა და ქარის ეროზიასთან ბრძოლას სსრ კავშირის სხვადასხვა ზონაში. სესიის მუშაობაში მონაწილეობს 600-ზე მეტი კაცი. მოხსენება — „ნიადაგთა ეროზიასთან ბრძოლის თანამედროვე მდგომარეობა და ამოცანები სსრ კავშირში" — წაიკითხა პროფესორმა ს. ს. სობოლევმა.

ლ. ლონგო მოსკოვში

5 **ივნისს** სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწვევით მოსკოვში ჩამოვიდა იტალიის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის მოადგილე ამხანაგი ლუიჯი ლონგო.

ბოლივიის პარლამენტარები მოსკოვში

მოსკოვი, 5 ივნისი. (საკდესი). სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მოწვევით დღეს მოსკოვში ჩამოვიდა ბოლივიის პარლამენტის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს პარლამენტის წევრი რამონ ორტუნო.

ულიკალური ხალიჩა—პანო

აშხაბადი, 6 ივნისი. (საკდესის კორ.). აშხაბადის ხალიჩის ფაბრიკის ოსტატებმა შექმნეს ხელოვნების ახალი შესანიშნავი ნაწარმოები. ხალიჩაზე აღბეჭდილია თურქმენული ორნამენტის ჩარჩოში ჩასმული ნიკტა სერგის-ძე ხრუშჩოვი კოსმონავტებთან — იური გაგარინთან, გერმანე ტიტოვთან, ანდრიან ნიკოლაევთან და პავლე პოპოვიჩთან ერთად.

ორი თვე მუშაობენ ამ ხალიჩის დასამზადებლად ფაბრიკის საუკეთესო მუშები, თურქმენეთის სსრ დამსახურებული მეხალიჩეები მაია მურადოვა, ენე ხიდროვა, ბაირამ ხოჯაგელდიევა, გოზელ მერედოვა და ამანბიბი გელდიევა. ხალიჩის ზომა დაახლოებით 5 კვადრატული მეტრია.

ახალი ხალიჩა-პანო დაამშვენებს თურქმენეთის სსრ პავლიონს სსრ კავშირის სახალხო მეურეობის მიღწევათა გამოფენაზე.

ჩვენი ქვეყნის სამხრეთ რაიონებში მარცვლეული კულტურების მოსავლის აღება იწყება. მარცხენა სურათზე: ქერის აღება არტელ „სოვეტ თურქმენისტანში". წინა პლანზე ბრიგადირი გ. გოშაევი (მარჯვნივ) და უფროსი აგრონომი კ. ეანტოვი.

ენისეის გადახიდვის შემდეგ კრასნოიარსკის ჰიდროელექტროსადგურის მშენებელთა კოლექტივმა წარმატებით გაართვა თავი კიდევ ერთ სერიოზულ გამოცდას — დაძლია ყინულთავლა გიგანტ მდინარეზე ეს იყო ჰიდროკვანძის ნაგებობათა სიმტკიცისა და საიმედოობის პირველი გამოცდა. ყველა ობიექტმა ბრწყინვალედ ჩააბარა გამოცდა. ამკამად მშენებლობაზე წარმოებს წყლის ამოტუმბვა. სურათზე: წყლის ამოტუმბვა კრასნოიარსკის პეკის მარჯვენა ნაპირის ქვაბულიდან.

ფოტო გ. მუჩკამბაროვისა და ი. ბარმინისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

საინტერესო გამოფენა

მოსკოვი, 5 ივნისი. (საკდესი). დღეს მ. გორკის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალურ პარკში აღიმართა ფინეთისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმები. აქ გაიხსნა ფინეთის საექსპორტო საქონლის გამოფენა, რომელიც მოაწყვეს საავტო საზოგადოებებმა „მოსპრეიმ" და „პელტამ".

ფინეთის 40-ზე მეტი სხვადასხვა ფირმა და საწარმო აჩვენებს თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას, საამშენებლო მასალას, საავტო მოწყობილობას, ავეჯს.

ფართო გაჯანის მანქანებით ავიღოთ უხვი მოსავალი!

კუსტანაის ოლქის არკალიკის საწარმოო სამმართველოს სარიუზენის საბჭოთა მეურნეობის მუშათა და სპეციალისტთა კოლექტივის მიმართვა ჩვენი ქვეყნის ყველა მხვნელ-მთესველისადმი

ძვირფასო ამხანაგებო! წელს ჩვენი ოლქისა და მხარის მხვნელ-მთესველებმა ყამირის მეათე გაზაფხული გაატარეს. თესვის მესამე კამპანია წარმატებით დაამთავრეს არკალიკის საწარმოო სამმართველოს ჩვენი სარიუზენის საბჭოთა მეურნეობის მინდვრის შრომელებმა. ჩვენი საბჭოთა მეურნეობა მდებარეობს კურგაის ყამირზე, რომლის ათვისება 1960 წელს დაიწყო ადგილობრივი კომუნისტების ინიციატივით. ეს ინიციატივა მოიწონეს და მხურვალედ დაუჭირეს მხარი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და პირადად ამხანაგმა ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვმა.

უხვი და ბარაქიანია დიდი ტურგაის მიწა. ჩვენი საბჭოთა მეურნეობის მშრომელებმა შარშან რთულ კლიმატურ პირობებში 27 ათასი ჰექტარი ნათესის საშუალოდ ჰექტარზე 14.1 ცენტნერი მარცვლეული მოიუვანეს. სახელმწიფოს ჰექტარზე 86 ფუთი მარცვლეული მიეყიდეთ, სამშობლოს ბელლებში შეევნახეთ 2 მილიონ 359 ათასი ფუთი პური, გეგმით კი გათვალისწინებული იყო 984 ათასი ფუთი.

ჩვენი სარიუზენული პური ყველაზე იაფია ყამირის მხარეში, ერთი ცენტნერი მარცვლეულის თვითღირებულება შეადგენს 2 მანეთსა და 32 კაპიკს ნაცვლად 4 მანეთისა და 58 კაპიკისა გეგმის მიხედვით. საბჭოთა მეურნეობამ მარტო სახელმწიფოსათვის მარცვლეული ჩაბარებისაგან 1 მილიონ 155 ათასი მანეთი მოგება მიიღო.

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის ბარათმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმისადმი „წლის შედეგების შეჯამებისა და მარცვლეულის წარმოებისა და შესყიდვის გადიდების შესახებ" შრომაში ახალ-ახალი წარმატების მისაღწევად შთაგონა ჩვენი საბჭოთა მეურნეობის კოლექტივი. ჩვენ მიწათმოქმედების შესანიშნავი ოსტატები გვყავს. ესენი არიან ჩვენი მექანიზატორები, რომლებმაც წარმატებით დაამთავრეს 1962 წელი და ახალ მიჯნებს მიაღწიეს მიმდინარე წლის გაზაფხულზე. წლევანდელი გაზაფხული კი სერიოზული გამოცდა იყო სარიუზენელებისათვის. წელს ჩვენ გავადიდეთ მარცვლეულის ნათესი ფართობი და 48.9 ათას ჰექტარზე ავიყვანეთ, აქედან მთავარი სასურსათო კულტურა, — ხორბალი დავთესეთ 42.5 ათასი ჰექტარი, დავთესეთ აგრეთვე 3.5 ათასი ჰექტარი ფეტვი, 980 ჰექტარი ბარდა, 1.500 ჰექტარი სიმინდი, რაც ორჯერ აღემატება შარშანდელს.

მიმდინარე წლის გაზაფხული მიწათმოქმედების მაღალი კულტურის გაზაფხულია. თესვა დავამთავრეთ შემუშავებულ ვადებში — 15 დღეს — კარგად მომზადებულ, მოსწორებულ მზრალში. დავთესეთ მხოლოდ ჯიშიანი ხორბლის დარაიონებული თესლი „ერიტროსპერმუმ 841" და „სარატოვული 29".

თესვაში წარმატება გადაწყვეტეს მდიდარი ტექნიკით შეიარაღებულმა ჩვენმა მექანიზატორებმა. მინდვრების სრული ბატონ-პატრონი გახდნენ მექანიზებული რაზმები. ასეთი რაზმი 18 გვყავს. შრომის ორგანიზაციის ახალმა პროგრესულმა ფორმამ საშუალება მოგვცა, უწინარეს ყოვლისა, აღმოგვეფხვრა გაუპიროვნება, ამან კი თავის მხრივ გაადვილებესა მინდვრის სამუშაოთა ხარისხი, მკვეთრად გაადიდა შრომის ნაყოფიერება, გააუმჯობესა ტექნიკის უვნებლად დაცვა.

თანაბარი აღმონაცენი კარგ მოსავალს გვპირდება. ახალი საზრუნავი ცხოვრობს საბჭოთა მეურნეობის კოლექტივი. ჩვენ ვალდებულება ვიკისრეთ — მივყიდოთ სახელმწიფოს 3 მილიონი ფუთი კარგი ხარისხის მარცვლეული ანუ გეგმით გათვალისწინებულზე 1 მილიონ 200 ათასი ფუთით მეტი.

შეგნებული გვაქვს, რომ ასეთ დიდ ვალდებულებათა შესრულება ადვილი ამოცანა არ არის, იგი მოითხოვს დიდ დაძაბვას, კადრებისა და ტექნიკის სწორ განაწილებას. მაგრამ ამისათვის დიდი შესაძლებლობანი გვაქვს. საბჭოთა მეურნეობა აღჭურვილია საჭირო მანქანებით. მოსავლის აღებაზე ამუშავებს 180 თვითმავალი კომბაინი, 140 ფართო გატანის და ულაფეტო სამკელი მანქანა. ამ მანქანებით 20 სამუშაო დღეში ავიღებთ პურეულის მოსავალს.

როგორია ჩვენი ვარაუდები? უწინარეს ყოვლისა გაადაწყვეტილი გვაქვს წელს უზრუნველვყოთ ფართო გატანის აგრეგატების სრული გამოყენება. ფართო გატანის სამკელი მანქანების გამოყენების წარსული წლის გამოცდილების საფუძველზე შევძლებთ თითოეული აგრეგატით ყოველდღე მოვმკათ ღვარეულებად 40 ჰექტარი პურეული. მაშასადამე, თ დღეში უზრუნველვყოფთ 36.800 ჰექტარი პურის მომკას. დანარჩენ მასიებში პურს დეკადის განმავლობაში მოვმკით ულაფეტო სამკელი მანქანებით. ჩვენ აგრეთვე ყველა შესაძლებლობა მოგვეპოვება, რათა არ დავაშოროთ ერთმანეთს მკა და ღვარეულების აკრება, ჩვიდმეტ დღეში დავამთავროთ მათი გალეწვა. ამისათვის ეტლებში პირველ დღეებში გავა სკ-3 მარკის 90 კომბაინი, ხოლო შემდეგ დღეებში, მკა რომ დამთავრდება, ღვარეულების ასაკრებად გამოვიყენებთ დანარჩენ კომბაინებს.

ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა სავსებით სწორად აღნიშნა ფართო გატანის მანქანების დიდი უპირატესობა. ბაბანგაროშვილი ჩვენს საბჭოთა მეურნეობაში 2,2-ჯერ გადიდდება. პირდაპირი ხარჯები 30 პროცენტით შემცირდება, მოთხოვნილება მექანიზატორთა კადრებზე სანახევროდ შემცირდება, ხოლო შრომის საერთო დანახარჯები 60 პროცენტით შემცირდება. ამის მეოხებით სახსრების ეკონომია თითოეულ ჰექტარზე შეადგენს 1 მანეთსა და 50 კაპიკს. მაშასადამე, მარტო ფართო გატანის სამკალი მანქანების დიდმწარმოებლური გამოყენების შედეგად ჩვენი მეურნეობა დაზოგავს 60 ათას მანეთს. მაბრამ ამასთანავე მოსავლის აღების კერიოდში სხვა გადაუდებელი სამუშაოებისათვის განთავისუფლდება ასადგი ტრაქტორი. ეს კი შესაძლებლობას მოგვცემს დამატებით მოვხნათ 12 ათასი ჰექტარი საადრეო მზრალი, აბრეშუმე დავთაჩაროთ სილოსის ჩადება. საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორები ჩარმატებით ამზადებენ ტექნიკას ალოობასათვის. 1 ივლისამდე შეაკეთებენ, შეამოწმებენ და სამუშაოდ გაამზადებენ ყველა მანქანას.

გასაგებია, რომ თითოეული მექანიზებული რაზმის მუშაობის მთავარი შინაარსი იქნება ფართო გატანის მანქანების უნარიანი, ყაირათიანი გამოყენება. ეს მანქანები საიმედო ხელშია. ცნობილია, რომ ფართო გატანის მანქანები მოსავლის ასაღებად ტურგაის ყამირზე და, კერძოდ, ჩვენს მეურნეობაში პირველად მხოლოდ შარშან გამოვიყენეთ. მაგრამ უკვე მაშინ მანქანებს მძღოლებმა გვიჩვენეს მათი დიდმწარმოებლური გამოყენების მაგალითი. მექანიზატორი ი. ხიკეი „ეკვ-6" სამკალით ყოველდღიურად მკიდა 60 ჰექტარ პურს. სეზონის განმავლობაში მან ღვარეულებად მომკა 670 ჰექტარი პურის ყანა. კომბაინერი ვ. ჩერემნიხი ასევე სამკალით მკიდა 70-80 ჰექტარს დღეში, მისმა სეზონურმა გამომუშავებამ 600 ჰექტარი შეადგინა. კომბაინერმა პ. რედკომ 5 დღეში მომკა, ხოლო შემდეგ გალეწა 370 ჰექტარი პური, რის შედეგად მიიღო 4.836 ცენტნერი მარცვალი.

ფართო გატანის სამკალი მანქანების მართვის ოსტატთა რიგები ფართოვდება. წელს სამკალ მანქანებს გაუძღვებიან ისეთი გამოცდილი კომბაინერები, როგორიც არიან ს. ტოლსტოლუგოვი, ლ. ენოვი, გ. ვოლოშკევიჩი, ს. მანუკიანი და ბევრი სხვა.

ჩვენს ყამირ მინდვრებში ფართოდ ინერგება მოსავლის ჩქაროსნული აღების მეთოდი. ჩვენს საბჭოთა მეურნეობაში გადიდებული სიჩქარეებით მუშაობის ინიციატორი იყო შარშან გ. ვოლოშკევიჩი. გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ახლა ჩქაროსანთა მოძრაობა შეიძლება გაფართოვდეს. ვითვალისწინებთ, რომ მათი ძალებით 8 დღეში მოვმკათ 20 ათას ჰექტარზე მეტი პური.

მოსავლის აღების წარმატებით განხორციელებისათვის დაგვჭირდება 180 კომბაინერი. ეს კადრები გვყავს. შარშან მკაში მონაწილეობდა 115 მექანიზატორი. ზამთრის განმავლობაში ჩვენ კურსებზე მოვამზადეთ კიდევ 65 კომბაინერი. ეს ამხანაგები გაუძღვებიან მანქანებს გამოცდილ კომბაინერებთან ერთად.

საქმის წარმატება მოსავლის აღების დროს დიდად იქნება დამოკიდებული კომბაინის აგრეგატების ტექნიკური მომსახურების სწორ ორგანიზაციაზე. ამ მიზნით ჩვენ ოთხივე განყოფილებაში საუკეთესო მექანიზატორთაგან ვქმნით ოსტატგამმართველთა ბრიგადებს. თითოეული ასეთი ბრიგადა მოემსახურება 20 აგრეგატს. ბრიგადის განკარგულებაში იქნება სპეციალურად მოწყობილი მანქანები.

დიდია პურის ტკივრზნიდვის მოცულობა. ჩვენ გავითვალისწინეთ, რომ პურის მასივზე არ მოცდეს არც ერთი კომბაინი. კალოებზე გალეწილი პურის მძლავრი მოზღვავების გამო საჭიროა მისი სწრაფად დამუშავება. ამისათვის ვამზადებთ 27 მარცვალსაწმენდ მანქანას, რომელთა სადღეღამისო მწარმოებლობა 2 ათასი ტონა მარცვალია. მარცვალსაწმენდი ტექნიკა განლაგებულ იქნება ორ მექანიზებულ და ოთხ ელექტროფიცირებულ კალოზე.

ამხანაგებო! დაიწყო საყოველთაო სახალხო ლაშქრობა უხვი მოსავლისათვის, გავამრავლოთ მშობლიური ქვეყნის დიდება და ძალა. ღირსეული წვლილი შევიტანოთ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში! მივცეთ საყვარელ სამშობლოს მეტი პური!

სარიუზენის საბჭოთა მეურნეობის მუშათა და სპეციალისტთა კოლექტივის დავალებით მიმართავს ხელს აწერენ:

ს. შმაროვი — საბჭოთა მეურნეობის დირექტორი, **ი. ენოვი** — პარტიული ორგანიზაციის მდივანი, **ლ. კაპლუნი** — მთავარი ინჟინერი, **ა. აჩინცევი** — მუშათა კომიტეტის თავმჯდომარე, **ბ. ჩურკინა** — კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი; მექანიზებული რაზმების უფროსები: **ტ. მანუკიანი, ვ. ჩერემნიხი, ნ. ოსერეტიანი, ს. ტოლსტოლუგოვი, ნ. კუზნინი, ს. კოვნურკო, ი. ლეპსკი**; კომბაინერები: **ა. სიდორენკო, ს. ისლანაევი, ა. როგოშკო.**

მეჩაიეებო, 11 ივნისისათვის დავფაროთ უამინდოობით გამოწვეული დანაკლისი!

ხარისხოვანი ჩაის ფოთლის დამგზავნების გეგმის შესრულება

1963 წლის 5 ივნისისათვის (ტონობით)

საწარმოო სამმართველოები	გეგმა 1963 წ.	გეგმა აპრილ-ივნისისა	შესრულება	გეგმის შესრულების პროცენტი 1963 წ.	გეგმის შესრულების პროცენტი აპრილ-ივნისისა
აჭარის ასსრ	27.000	14.040	9.300	34,5	66,2
ჩაქვის	26.820	13.950	9.222	34,4	66,1
ხულოს	180	90	78	43,3	86,7
აფხაზეთის ასსრ	27.000	14.040	8.831	32,7	62,9
გალის	14.110	7.339	4.595	32,6	62,6
ოჩამჩირის	9.290	5.192	3.541	35,4	68,2
გუდაუთის	2.900	1.509	695	24,0	46,1
მახარაძის	37.605	19.550	11.734	31,2	60,0
ზუგდიდის	33.200	17.265	10.276	31,0	59,5
ცხაკაიას	9.680	5.030	3.398	35,1	67,6
ლანჩხუთის	9.395	4.890	3.037	32,3	62,1
გეგეჭკორის	8.370	4.355	2.767	33,1	63,5
ყაზალეფოს	6.300	3.270	2.663	42,3	81,4
სამტრედიის	3.938	2.050	1.602	40,7	75,1
ზესტაფონის	285	150	169	59,3	112,7
საჩხერის	165	90	80	48,5	88,9
მაიაკოვსკის	62	30	27	43,5	90,0
სულ	163.000	84.760	53.884	33,1	63,6
1962 წ. 5-VI იყო	—	—	65.884	—	—
1963 წ. 1-VI იყო	—	—	39.618	—	—

* * *

როგორც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცხრილიდან ჩანს, აპრილ-მაისის გეგმის დანაკლისი ჯერ კიდევ არ არის დაფარული. 5 ივნისისათვის სულ მოკრეფილია 53.884 ტონა ჩაის ფოთოლი. აპრილ-ივნისის გეგმით მოსაკრეფია 84.760 ტონა. ივნისის პირველ ხუთდღიურში მოიკრიფა 14.266 ტონა „მწვანე ოქრო"

საქართველოს მეჩაიეებო! იბრძოლეთ იმისათვის, რომ 11 ივნისამდე დაფაროთ აპრილ-მაისში უამინდობით გამოწვეული დანაკლისი და ამასთან ერთად გადაჭარბებით შეასრულოთ ივნისის პირველი დეკადის გეგმაც.

ამ საპატიო დავალების შესრულებისათვის საჭიროა მთელი ძალით ავამოქმედოთ ყველა რეზერვები, ჩაის ფოთოლი ვკრიფოთ ყოველგვარ ამინდში.

საქართველოს მეჩაიეებს არაერთხელ უსახელებიათ თავი და ეჭვი არ არის, რომ ახლაც წარმატებით შეასრულებენ ნაკისრ ვალდებულებას.

გასული წლის 5 ივნისისათვის მოკრეფილი იყო 65.884 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი.

მიმდინარე წლის 5 ივნისისათვის მოკრეფილია 53.884 ტონა, ანუ შარშანდელთან შედარებით 12 ათასი ტონით ნაკლები

ეს სერიოზული ჩამორჩენაა.

საქართველო ემზადება საიათნოვას იუბილესათვის

არიან პოეტი-აკადემიკოსი ი. აბაშიძე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ი. აბულაძე, არქიტექტურის დოქტორი რ. აღაბაბიანი, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ა. ბარამიძე, გაზეთ „სოვეტაკან ვრასტანის" რედაქტორი ა. ბლრაცანი, საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი თ. ბუაჩიძე, მწერალი-აკადემიკოსი კ. გამსახურდია, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე კ. გარდაფხაძე, საქართველოს სახალხო მხატვარი ლ. გუდიაშვილი, კრიტიკოსი ბ. ჟღენტი, პოეტი-აკადემიკოსი გ. ლეონიძე, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ა. მელაძე, პროფესორი ლ. მელიქსეთბეგი, გაზეთ „სოვეტ გურჯისტანის" რედაქტორი მ. მურადოვი, გაზეთ „კომუნისტის" რედაქტორი ნ. მჭედლიშვილი, კომპოზიტორი შ. მშველიძე, განათლების მინისტრის მოადგილე უ. ობოლაძე, საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მდივანი ე. სალუქვაძე, საქართველოს მწერალთა კავშირის სომხური სექციის თავმჯდომარე ბ. სეფერანიანი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. სირაძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ე. ხარაძე, კრიტიკოსი ს. ჭილაია (მდივანი), გაზეთ „ზარია ვოსტოკას" რედაქტორი ი. ჩხიკვიშვილი.

გაიმართა საიუბილეო კომისიის სხდომა. კომისიის მდივანმა კრიტიკოსმა ს. ჭილაიამ კომისიას მოახსენა, თუ როგორ მიმდინარეობს მზადება საიათნოვას იუბილესათვის.

სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო" იუბილესათვის გამოუშვებს მონოგრაფიას. საიათნოვას ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნება" გამოსაშვებად ამზადებს პოეტის ლექსთა კრებულს. გადაწყვეტილია მოეწყოს გაერთიანებული საიუბილეო სესია, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ლიტერატურის ინსტიტუტი, საქართველოს მწერალთა კავშირი და სახელმწიფო უნივერსიტეტი. XIII საუკუნის არქიტექტურის ძეგლზე „დიდი საყდარი ციხისა", რომლის კედელთან დაკრძალულია დიდი მომღერალი საიათნოვა, დაიდგმება მემორიალური დაფა, რომელზეც იქნება წარწერა ოთხ ენაზე — რუსულ, ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე.

23 ოქტომბერს თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში გაიმართება საიუბილეო საღამო. მოხსენებას გააკეთებს პოეტი-აკადემიკოსი გ. ლეონიძე.

(საკდესი).

პლანტაციებში

6 ივნისი

ლანჩხუთის საწარმოო სამმართველო. დროდადრო ამინდი კვლავ ჭირვეულობს. მაგრამ მეჩაიეები ყოველგვარ ამინდში განაგრძობენ ენერგიულ შრომას. ისინი იმისათვის იბრძვიან რომ აპრილ-მაისის დანაკლისი 10 ივნისისათვის დაფარონ. გუშინ მეჩაიეებმა მოკრიფეს 208 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. სულ მოკრეფილია 3.230 ტონაზე მეტი. სოფელ ხიდმაღალას კოლმეურნეობას იენისის ანგარიშში მოკრეფილი აქვს 2.000 კილოგრამი ჩაის ნედლეული. ქვემო აკეთის კოლმეურნეობამ აპრილ-მაისის გეგმა 6 ივნისისათვის შეასრულა. მამათის კოლმეურნეობამ შეასრულა აპრილ-მაისის დავალება და ივნისის ანგარიშში მოკრეფილი აქვს 50 ტონა.

წარმატებით შრომობს სოფელ ჭანჭათის კოლმეურნეობის მეჩაიე ნორა ბურკაძე. მან გუშინ მოკრიფა 135 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. სულ მოკრეფილი აქვს 1.800 კილოგრამამდე. ეწერის კოლმეურნეობის წევრმა დარიკო მეგრელიშვილმა მოკრიფა 160 კილოგრამი. სულ მოკრეფილი აქვს 1.600 კილოგრამზე მეტი. ლანჩხუთის კოლმეურნეობის მოწინავე მეჩაიემ სონია სალუქვაძემ მოკრიფა 110 კილოგრამი.

სამტრედიის საწარმოო სამმართველო. გუშინ წვიმიანი დღე იყო. მაგრამ მეჩაიეებმა მაინც მოკრიფეს 55 ტონა ჩაის ფოთოლი. სულ საწარმოო სამმართველოში მოკრეფილია 1.650 ტონაზე მეტი. წინ მიდის გოჩა ჯიხაშვილის კოლმეურნეობა. რომელსაც მოკრეფილი აქვს 65 ტონაზე მეტი „მწვანე ოქრო", გუბის კოლმეურნეობას კი 52 ტონა. ბესიაურის კოლმეურნეობას მოკრეფილი აქვს 46 ტონა, წულუკიძის საბჭოთა მეურნეობას — 657 ტონა. დღიური დავალებებს 130 პროცენტით ასრულებენ ივანდიდის, ჯიხაშვილის და სხვა კოლმეურნეობები.

გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში კვლავ წინ მიდის წულუკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, მერგოლური დალი წივწივაძე. მან ერთ დღეს მოკრიფა 70 კილოგრამზე მეტი ჩაის ფოთოლი.

180.000 ტონა ჩაისთვის!

გეგმა შესრულებულია

ზვიდწლედის მეხუთე წლის პირველი დღეებიდანვე რიტმულად მუშაობს თბილისის საფერმენტაციო ქარხნის (დირექტორი ბ. კვინიხიძე) კოლექტივი. აქ თვიდან თვემდე აძლიერებენ მუშაობის ტემპს და ადიდებენ პროდუქციის გამოშვებას. მეთამბაქოეებმა ოთხი თვის გეგმა 114,8 პროცენტით გაანაღდეს და გეგმის გადამეტებით 50 ტონა თამბაქო გამოუშვეს. პროდუქციის თვითღირებულება 18 ათასი მანეთით შეამცირეს და შრომის ნაყოფიერება 12,3 პროცენტით აამაღლეს. წარმოების კოლექტივს შრომის ტემპი არც მაისში შეუნელებია. თვის დავალება 25 რიცხვისათვის გადაჭარბებით შეასრულა. დაზოგა 5 ტონა თამბაქო და დიდი რაოდენობით ელექტროენერგია და პირობითი საწვავი.

წარმოების მუშაურები არიან და კომუნისტური შრომის საუკეთესო ნიმუშებს იძლევიან ს. ბერიკაშვილი, ე. სუკალოვა, ს. ბათარაშვილი და ჯ. ქელიძე.

სამართლის დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლა მთელი საზოგადოებრიობის საქმეა

პარტიას არასოდეს არ დაუყენებია ასე მწვავედ და ესოდენ კონკრეტულად ანტისაზოგადოებრივ დანაშაულობათა ლიკვიდაციისა და დამნაშავეობის მთლიანად აღმოფხვრის საკითხები, როგორც აყენებს ახლა, როცა საბჭოთა კავშირი შევიდა გაშლილი კომუნისტური მშენებლობის პერიოდში. როგორც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამაშია აღნიშნული, პარტია აყენებს ამოცანას, რომ საჭიროა უზრუნველყოფილ იქნას არა მარტო კანონიერების ზუსტად დაცვა, აღმოიფხვრას მართლწესრიგის ყოველგვარი დარღვევა, მოხდეს დამნაშავეობის ლიკვიდაცია, არამედ აგრეთვე ისიც, რომ აღმოიფხვრას მათი გამომწვევი ყველა მიზეზი.

ჩვენს ქვეყანაში ყოველდღიურად ფართოვდება იმ ადამიანთა რიგები, რომლებიც ავლენენ მომავლის ადამიანის შესანიშნავ თვისებებსა და ნიშნებს. ისინი კომუნისტურად ეკიდებიან შრომას, იცავენ სოციალისტური საერთო ცხოვრების ნორმებს.

მაგრამ, სამწუხაროდ, ხდება სხვაგვარადაც. საბჭოთა ადამიანების გულისწყრომასა და აღშფოთებას იწვევს ის, რომ ცალკეული პირები ჯერ კიდევ სჩადიან ანტისაზოგადოებრივ ქმედობას, ხულიგნობენ, ხელყოფენ ადამიანის სიცოცხლესა და ღირსებას. ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი სოციალისტური და პირადი საკუთრების დატაცება, მექრთამეობა და ჩვენი საზოგადოებისათვის უცხო სხვა მოვლენები.

ყოველივე ამაზე ილაპარაკეს თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს ამასწინანდელი სესიის მონაწილეებმა. მათ განიხილეს საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ა. მელაძის მოხსენება „დავამყაროთ სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგი ქალაქ თბილისში“.

მთავარია — პროფილაქტიკა, აღმგზრდელობითი მუშაობა

— **ამ** უკანასკნელ წლებში, — ამბობს **ამბ. მელაძე,** — დიდი მუშაობა განხორციელდა სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განსამტკიცებლად, მილიციის, პროკურატურის, საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოების საქმიანობის გასაუმჯობესებლად. ახლა უფრო სწორად და გონივრულად უხამებენ ერთმანეთს დანაშაულის ჩამდენთა მიმართ საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებანი და სისხლის სამართლის წესით დასჯის ზომებს. ანტისაზოგადოებრივი მოვლენებს წინააღმდეგ ბრძოლის საკითხები ახლა პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ყურადღების ცენტრშია. ამ ორგანიზაციებმა მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს საზოგადოებრიობის ჩასაბმელად მართლწესრიგის დაცვაში. თბილისში მოქმედებს 300 ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეული, რომელებშიც გაერთიანებულია 17 ათასი რაზმელი. მომხსენებელი საკუთარსოთა შორის ასახელებს ორთქლმავალვაგონშემკეთებელი ქარხნის, მაუდ-კამვოლის კომბინატის, ქალაქის სამგზავრო ტრანსპორტის საამართველოსა და სხვა სახალხო რაზმეულებს. შექმნილია ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულებისა და მილიციის 48 გაერთიანებული ოპერატიული პუნქტი, სადაც დაწესებულია გახეწყვეტელი მორიგეობა.

მილიციის ორგანოები, რომლებიც აფართოებენ საზოგადოებასთან კავშირს ქუჩისა და სახლის კომიტეტების, ამხანაგური სასამართლოების, პენსიონერთა საბჭოებისა და სხვა თვითმოქმედი ორგანიზაციების მეშვეობით, უფრო ფართოდ ამბავენ მშრომელებს მუშაობაში საზოგადოებრივ საწყისებზე. ახლა თბილისში საზოგადოებრივ საწყისებზე უკვე მუშაობს მილიციის სამსახურის ოთხი განყოფილება, 100 უბნის რწმუნებული და 450 საგზაო ინსპექტორი.

იმ მიზნით, რომ საზოგადოებრივი აზრი შეიქმნას საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევთა წინააღმდეგ, მილიციის ორგანოები მართლწესრიგის დამრღვევი პირების ვინაობას ატყობინებენ დაწესებულებებს, სადაც ისინი მუშაობენ ან სწავლობენ.

ყოველივე ამას დადებითი შედეგები მოაქვს: მიმდინარე წლის ოთხ თვეში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით დანაშაულთა რიცხვი ქალაქში შემცირდა. ამაევე პერიოდში გამოვლენილა ყველა ჩადენილი განსაკუთრებით საშიში დანაშაული.

მაგრამ დანაშაულთა რაოდენობა ქალაქში, ამბობს ამხ. მელაძე, ჯერ კიდევ მეტად მნიშვნელოვანია. საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის, აგრეთვე ბევრი დანაშაულის ერთ-ერთი სერიოზული წამქეზებელი მიზეზია ლოთობა, რაც, ისევე როგორც დამნაშავეობა, წარსულის საზიზღარი გადმონაშთია. მილიციისა და სასამართლო ორგანოების მონაცემთა ანალიზი მოწმობს, რომ ისეთ საშიშ დანაშაულობებს, როგორიც არის მკვლელობა, გაუპატიურება, ხულიგნობა, სხეულის მძიმე დაზიანება და ზოგიერთი სხვა, მეტწილად ადამიანები სიმთვრალის დროს სჩადიან.

ამასთანავე ბრძოლა ამ ანტისაზოგადოებრივ მოვლენათა წინააღმდეგ საკმაოდ მტკიცედ არ წარმოებს, არა აქვს შეტანული ნასიათი. თუ რა მძიმე შედეგები მოაქვს ზოგჯერ ლოთობას, შეიძლება დავნახოთ შემდეგი მაგალითით. საბჭოთა კავშირის კავშირგაბმულობის ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილების სტუდენტი **პაპიაშვილი** და პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი **ცხვირაკაშვილი,** მთვრალები, მოდიოდნენ ანაგის ქუჩაზე. პაპიაშვილი უტიფრად აყიდენა ქალს. ამხანაგმა შენიშნა მისკენ. ამ ნიადაგზე მათ შორის გაიმართა ჩხუბი, რაც იმით დამთავრდა, რომ პაპიაშვილმა აძრო დანა და სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა მეგობარს.

რესპუბლიკის უმაღლესმა სასამართლომ მკვლელს დახვრეტა მიუსაჯა.

სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის აგრონომიული ფაკულტეტის სტუდენტმა თამაზ ჭელიძემ სიმთვრალის დროს გადაბრუნა ყველა ურნა ი. ჭავჭავაძის პროსპექტზე. ეს ხულიგნური საქციელი ეცნობა ინსტიტუტის რექტორატს, მაგრამ ზემოქმედების რა ზომები მიიღეს, ჯერაც არ არის ცნობილი.

ლოთობის, დამნაშავეობისა და სხვა სამართლის დარღვევთა წინააღმდეგ ბრძოლაში დიდ როლს ასრულებს ის, რომ თავის დროზე შეიქმნას კოლექტივში დამნაშავის მორალური გაკიცხვის ატმოსფერო. ეს მეტად ეფექტიანი საშუალებაა, მაგრამ ზოგიერთ ორგანიზაციაში ან აყენებენ ამას.

საკითხავია, მაგალითად, რატომ ვერ შეინიშნეს ფიზკულტურის ინსტიტუტის მასწავლებლებმა, საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, რომ სტუდენტი ალექსანდრე გლავინი თვეების განმავლობაში არ ესწრებოდა ლექციებს, დასეირნობდა ქუჩაში, მოსკოვში, მცონარობდა? რატომ დარჩნენ გულგრილი იმისადმი, რომ ამ უსაქმურმა მიატოვა ცოლი და ბავშვი?

პოლიტექნიკური ინსტიტუტის საზოგადოებრიობის სერიოზული შეშფოთება არ გამოუწვევია იმას, რომ 1962 წელს და მიმდინარე წლის ოთხ თვეში ხულიგნობისათვის პასუხისგებაში მიეცა 60 სტუდენტი. ხულიგნური საქციელით „გამოჩეული სახელი“ უნივერსიტეტის, ფიზკულტურის ინსტიტუტის, სამედიცინო ინსტიტუტის მთელმა რიგმა სტუდენტებმა.

მოყვანილი მაგალითები, რა თქმა უნდა, დამახასიათებელი არ არის ჩვენი ახალგაზრდობისათვის. ჩვენი ქალაქშვილებისა და ჭაბუკების უმრავლესობა სწავლისა და შრომის, საზოგადოებრივი მუშაობის შესანიშნავ მაგალითს გვიჩვენებს, ბევრი პატიროტული წამოწყების ინიციატორია, მათ თავი გამოიჩინეს შვიდწლიანი მშენებლობებზე, ყამრის მიწათა ათვისებაში.

ყურადღება უნდა მივაქციოთ მოზარდი თაობის სწორ აღზრდას საშუალო და უმაღლეს სკოლაში, სადაც საფუძველი ეყრება მსოფლმხედველობასა და ზნეობრიობას. უფრო ადვილი და უკეთესია აღვზარდოთ ადამიანი პატარაობიდანვე, ვიდრე მერე ხელახლა აღვზარდოთ მოზრდილი უქნარა.

ჩვენ მოვალენი ვართ ყოველი ღონისძიებით გავაძლიეროთ ახალგაზრდა თაობის იდეური აღზრდა, ვიბრძოლოთ არაჯანსაღ განწყობილებათა წინააღმდეგ, აღვზარდოთ მტკიცე ადამიანი, იდეურად დარწმუნებული ადამიანი, რომელსაც უნარი შესწევს პირნათლად ატაროს წინ დიდი ოქტომბრის კომუნისტური დროშა.

ამბ. მელაძე შემდეგ ამბობს, რომ დიდმნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას და განსაკუთრებულ მიდგომას მოითხოვს, არის სამართლის დარღვევა სკოლების მოსწავლეთა შორის, ჩვენს ოჯახში, სასწავლებლებში, პიონერულ, კომკავშირულ და სხვა ორგანიზაციებში დიდი და მრავალმხრივი მუშაობა წარმოებს ნორჩ მოქალაქეთა აღზრდისათვის. მაგრამ ამ მუშაობაში, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ არის არსებითი ნაკლოვანებანი. მხოლოდ ამით შეიძლება აიხსნას, რომ ჩვენ ვაწყდებით არასრულწლოვან სამართლის დარღვევებს. რა უმნიშვნელოდ უნდა იყოს მათი რიცხვი, ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ აღიკვეთოს მოზარდთა მიერ სამართლის დარღვევის შემთხვევები. უნდა ამაღლდეს მშობელთა პასუხისმგებლობა ბავშვთა აღზრდისათვის, შრომითი წრთობა, შრომისადმი პატივისცემის დანერგვა უნდა იყოს აღზრდის საფუძველი.

მომხსენებელმა ყურადღება მიაპყრო იმას, რომ ქალაქში არიან ბიჭნი, რომლებიც მცონარობენ. საჭიროა ფართო საზოგადოებრიობის დახმარებით გამოვავლინოთ უსაქმურები, რომლებიც სხვათა შრომის ხარჯზე ცხოვრობენ, გამოვიყენოთ საზოგადოებრივი ზემოქმედების მთელი ძალა იმისათვის, რომ პატიოსნად შრომით ცხოვრებას ვაზიარეთ ისინი. მაგრამ, თუ აღმოჩნდებიან ისეთი ადამიანები, რომლებსაც არ მოსწონთ შრომა, მათ წინააღმდეგ დაიყოვნებელივ უნდა გამოვიყენოთ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 14 ივნისის ცნობილი ბრძანებულება.

ამ ბრძანებულების გამოქვეყნების შემდეგ 1962 წელს და მიმდინარე წლის ოთხ თვეში თბილისში სამუშაოზე მოეწყო რამდენიმე ათასი კაცი, რომლებიც მუშაობდნენ დროებით ან არასოდეს არ უმუშავნიათ. მაგრამ აღმოჩნდნენ პირნი, რომლებიც ბოროტად არიდებდნენ თავს შრომა-მოწყობას. მილიციის ორგანოების წარდგინებით, მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების გადაწყვეტილებით, ქალაქიდან გასახლებული არიან პირები, რომლებიც თავს არიდებდნენ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას და ყველა პარაზიტულ ცხოვრებას ეწეოდნენ.

თუ რას იწვევს უსაქმურობა, მუქთახორობა, ის, რომ არ სურთ მუშაობა, გვიჩვენებს შემდეგი ფაქტი. შვიდმა უსაქმურმა — ლომთათაძემ, გორდულაძემ, ქაროსანიძემ, მიქელაძემ და სხვებმა შექმნეს ბოროტმოქმედთა ბანდა, გასული წლის დამლევსა და მიმდინარე წლის დამდეგს გაძარცვეს 22 ბინა. თაეიანთი „ოილი ცხოვრება“ მათ ბრალდებულთა სკამზე დაამთავრეს.

საჭიროა გადამწყვეტი ბრძოლა გამოეცალოთ სახალხო დოვლათის დამტაცებლებს, მექრთამეებს, სპეკულანტებს. ამ მხრივ გარკვეული მუშაობა შესრულდა. სახელმწიფოსათვის მიყენებული მატერიალური ზარალის ასანაზღაურებლად დამტაცებლებს გადახდათ 563 ათას მანეთზე მეტი და ყადაღა დაედო მათ 357 ათას მანეთზე მეტი ღირებულების ქონებას.

გამოძიების მასალები მოწმობენ, რომ ძირითადი მიზეზები, რამაც ხელი შეუწყო დანაშაულთა ჩადენას, ის არის, რომ სწორად არ არიან შერჩეული კადრები მატერიალურად პასუხსაგებ თანამდებობებზე, არაკეთილსინდისიერად, ხოლო ზშირად განზრახ უპატიოსნოდ წარმოებს რევიზია, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაცია, დამაკმაყოფილებელი არ არის საბუსბალტრო აღრიცხვა.

მაგალითად, მიმდინარე წლის მარტში დაარბიეს ბუსბალსაშენებელი ქარხნ-ს უფროსი მოლარე ი. რევია, რომელმაც 20 ათასი მანეთი მიითვისა. აღმოჩნდა: ქარხნის ხელმძღვანელობამ იცოდა, რომ ი. რევია წინათ ორჯერ იყო ნასამართლევი.

ზარშან შემოწმდა ყოფილი ადგილმბრივი მრეწველობის სამმართველოს ნოხების წარმოება. შემოწმების შედეგად გამოვლინდა, რომ დატაცებულია 50 ათასი მანეთის სახელმწიფო ქონება. როგორც ძიებით დადგინდა, ბოროტმოქმედების მიზეზი იყო ის, რომ სავსებით არადამაკმაყოფილებლად წარმოებდა საბუსბალტრო აღრიცხვა და, არაკეთილსინდისიერად აწყობდნენ რევიზიებს უწყებათა რევიზორები. მათ ამ შემთხვევამდე ბევრჯერ მოაწყეს შემოწმება, მაგრამ არაფერი არ აღმოუჩენიათ.

მომხსენებელმა მოიყვანა მთელი რიგი სხვა ფაქტები და მაგალითები. მან თქვა: საჭიროა ისეთი ვითარება შევქმნათ, რომ სოციალისტური საკუთრების დამტაცებელთა ფეხქვეშ მიწა იწვოდეს.

საზოგადოებრიობა მუდმივ კონტროლს კონტროლის კომიტეტის, საწარმოებსა და დაწესებულებებში, ტრანსპორტსა და მშენებლობებზე მისი ფართოდ გაშლილი საკონტროლო პუნქტებისა და საგუშაგოების ქსელის საქმიანობა უკვე იწვევნა ბევრმა იოლი გადიდრების მოყვარულმა, არაკეთილსინდისიერმა და დაუდეგარმა მუშაკმა.

საჭიროა სახელმწიფო ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ყველა მშრომელის ერთობლივი მეცადინეობით შეექმნათ ისეთი საზოგადოებრივი ატმოსფერო, რომ ყალთაბანდებს, ქურდებსა და მექრთამეებს საშუალება არ ჰქონდეთ ჩაიდინონ დანაშაულებრივი მაქინაციები.

მომხსენებელმა შემდეგ ილაპარაკა იმის შესახებ, რომ საჭიროა ღრმად ჩაგვდეთ მართლმსაჯულების ორგანოების საქმიანობას, განვამტკიცოთ მათი ავტორიტეტი, მილიციის, სასამართლოს, პროკურატურის მუშაკებმა ისე ზუსტად, ორგანიზებულად და უნაკლოდ უნდა იმუშაონ, რომ არც ერთი დანაშაული გამოუმძღვანებელი არ დარჩეს.

არის ფაქტები, როცა მილიცია, სასამართლო ორგანოები ძალზე აჭიანურებენ საქმეების გამოძიებასა და განხილვას. მაგალითად, 1962 წლის 1 სექტემბერს პირველი მაისის რაიონის მილიციის განყოფილებაში მოიყვანეს ვინმე გ. ჩაჩანიძე, რომელსაც მოპარული ნივთები აღმოაჩნდა. მისი საქმე საგამომძიებლო განყოფილებას მხოლოდ ექვსი თვის შემდეგ გადაეცა.

ხშირად გამოაქვთ გაუმართლებლად ლმობიერი განაჩენი მძიმე დანაშაულისათვის. ორკონიკიძის რაიონის სახალხო სასამართლომ მოისმინა ქრთამის ამღებს ნინო მოწონელიძისა და ქრთამის მიმცემების ზინაიდა გრიგორაშვილისა და იორამ ტრაპაიძის საქმე.

მოწონელიძე პოულობდა დოყლაპიებს, „ჯიბე გასქელებულ“ ადამიანებს, ამიდიდებდა, თითქოს ქალშერი აქვს ხელმძღვანელ ამხანაგებთან და მათი საშუალებით შეუძლია ბინის მოცემა. ამგვარად მან გრიგორაშვილისა და ტრაპაიძეს გამოძალა 21 ათასი მანეთი. სახალხო სასამართლომ მოწონელიძეს მიუსაჯა 5 წლის პატიმრობა. გრიგორაშვილისა და ტრაპაიძეს — მხოლოდ თითო-თითო წლით იძულებითი მუშაობა.

მომხსენებელი შეჩერდა საპასპორტო რეჟიმის დაცვის საკითხებზე. ზოგიერთი საწარმოს, დაწესებულებისა და განსაკუთრებით საშენებლო ორგანიზაციის ხელმძღვანელები უგულებელყოფენ საფორეჟტივო ორგანოების დადგენილებებს და სამუშაოზე იღებენ პირებს, რომლებიც თბილისში ჩაწერილი არ არიან. ყველაფერი ეს ხდება მილიციის უბნის რწმუნებულთა, საუწყებო საცხოვრებელი სახლებისა და საერთო საცხოვრებელების სახლმმართველთა და კომენდანტთა თვალწინ.

საპასპორტო რეჟიმის დარღვევა ზოგჯერ ხელს უშლის დანაშაულის დროულ გამომძიღვნებას, მართლწესრიგის დამრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლას. საპასპორტო რეჟიმის დაცვისათვის ბრძოლაში საჭიროა ფართოდ ჩავაბათ საზოგადოებრიობა, ქუჩის კომიტეტები, მათი აქტივი. ამასთანავე საჭიროა გავაუმჯობესოთ საპასპორტო რეჟიმის მდგომარეობის კონტროლი მილიციის, სამინაო ორგანოებისა და პირველ რიგში სახლმმართველობათა მხრივ.

ამბ. მელაძემ შემდეგ ილაპარაკა იმის შესახებ, თუ როგორ არღვევენ ზოგიერთი ინდივიდუალური მშენებელი სამეურნეო ნორმებს. ისინი ანგარიშს არ უწევენ მშენებლობის დამტკიცებულ პროექტს, აკეთებენ დადგენილ ნორმაზე მეტ მიწის ნაკეთს, ადიდებენ საცხოვრებელ ფართობს. საქალაქო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებათა შესაბამისად რაიაღმასკომებმა კერძო სახლების 1.123 მფლობელს ჩამოართვეს ზედმეტი მიწის ფართობი — 52 ჰექტარზე მეტი. ეს ფართობი გადაეცა სხვადასხვა ორგანიზაციას სახელმწიფო მშენებლობისათვის, ნაწილი კი ჩაირიცხა ქალაქის მიწის ფონდში. სასამართლო ორგანოების გადაწყვეტილებით მთელ რიგ სახლის მფლობელებს ჩამოერთვა საცხოვრებელი ფართობი, რომელიც დადგენილი ნორმის გადამეტებით იყო აშენებული. საჭიროა საქმე ისე დავაყენოთ, რომ მომავალში არ დაეუშვათ ასეთი დარღვევები.

საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებმა ვარკვეული მუშაობა გასწიეს იმისათვის, რომ განეხორციელებინათ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება იმის შესახებ, რომ უსასყიდლოდ ჩამორთვას სახლები, აგარაკები და სხვა ნაგებობანი, რომლებიც მოქალაქეებმა უშრომელი შემოსავლით აიგეს ან შეიძინეს. უკვე გამოვლინდა 41 სახლი, რომლებიც მოქალაქეებმა უშრომელი შემოსავლით აიგეს ან შეიძინეს. მათგან სახალხო სასამართლოებს გადაწყვეტილებით ჩამორთმეულია და კომუნალურ ფონდს გადაეცა 17 საცხოვრებელი სახლი, ხოლო 24 სახლი ჩამორთმევის საქმე გადაეცა სასამართლო ორგანოებს. ეს მუშაობა უნდა განვაგრძოთ, მივაღწიოთ იმას, რომ მთლიანად შეავსრულოთ ბრძანებულება.

საბჭოების, მთელი საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრში უნდა იყოს ქალაქის სანიტარული მდგომარეობის საკითხი. ამ მიმართულებით ცოტა როდი გაკეთდა. მაგრამ შეიძლება და საჭიროცაა მეტი გავაკეთოთ. ჯერ კიდევ ყველგან როდი იცავენ სანიტარული დასუფთავების რაიონული კონტორები ნაგავის გატანის გრაფიკს. ბევრ კერძო სახლის მფლობელს ხელშეკრულება არა აქვს დადებული მათთან ნაგავის გატანაზე. არის შემთხვევები, როცა სანიტარულ წესრიგს მცხოვრებლები ირღვევენ.

მიუხედავად იმისა, რომ ქალაქში თითქმის ყოველ ნაბიჯზე დგას ურნები, ბევრი რატომღაც საჭიროდ არ თვლის ისარგებლოს ამ ურნებით და ქუჩებს, სკვერებს ანაგვიანებს პაპიროსის ნამწვავებით, კოლოფებით, ქაღალდის ნაგლეჯებით, ტრამვაისა და ტროლეიბუსის ბილეთებით. ნუთუ, თქვა ამხ. მელაძემ მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, რიგის მაგალითი, სადაც მცხოვრებლები მკაცრად იცავენ სანიტარულ წესრიგს, უფრთხილდებიან თავიანთი ქალაქის სახელს, მისაბაძი არ უნდა გახდეს ყველა თბილისელისათვის? მათ ხომ უყვართ თავიანთი ქალაქი, ამაყობენ კიდეც. ეს სიყვარული უნდა გამოვხატოთ იმით, რომ ვიზრუნოთ ჩვენი ქალაქის სანიმუშო მდგომარეობისათვის.

ზოგიერთი თბილისელი უგულებელყოფს საქალაქო საბჭოს აღმასკომის საველდებულო დადგენილებას იმ აივნების, ღია ლოჯიების მოვლის წესს, რომლებიც ქუჩის პირასაა. აქ ხშირად ჰკიდებენ თეთრეულს, დაუდეგრად ინახავენ საოჯახო ინვენტარს, ყოველგვარ ძველმანს. ყოველივე ეს არასასურველ სეირათს ქმნის, აუშნოებს ჩვენს ლამაზ ქალაქს, რომელსაც აღფრთოვანებაში მოჰყავს ჩამოსულნი.

არ შეიძლება შეეურიგდეთ უბილეთოდ მგზავრობას. ფაქტებს, როცა კონდუქტორი ფულს იღებს მგზავრისაგან და ბილეთს არ აძლევს, როცა პაპიროსს ეწევიან ტრამვაიში, ავტობუსში, ტროლეიბუსში, ამ ფაქტების აღმოფხვრა შეიძლება საზოგადოებრიობის დახმარებით.

სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფის დანაშაულებრივ გამოვლინებათა ლიკვიდაციის ამოცანა მოითხოვს სახელმწიფო ორგანოებისა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ძალების ყოველდღიურ დაძაბვას.

ახლა პარტია მოითხოვს, რომ ვიბრძოლოთ კანონიერების განმტკიცებისათვის, მკვეთრად შევამციროთ, ხოლო შემდეგ აღმოვფხვრათ დამნაშავეობა, გავწმინდოთ საბჭოთა საზოგადოება ყველაფრისაგან, რაც ხელს გვიშლის კომუნიზმის მშენებლობაში.

სრულად გამოვიყენოთ საბჭოთა კანონების ძალა

მოხსენებებისა და თანამოხსენების გამო კამათში გამოსულმა ორატორებმა აღნიშნეს, რომ ბრძოლა იმით წინააღმდეგ, ვისაც ფეხქვეშ ქელავს საზოგადოებრივ ინტერესებს, მით უფრო წარმატებითი იქნება, რაც უფრო სწრაფად და ობერატიულად გამოვეხმაურებით ანტისაზოგადოებრივი გამოვლინების ყოველგვარ ფაქტს. მუქთახორების, ხულიგნების წინააღმდეგ, — თქვეს დეპუტატებმა, — მარტო ისინი როდი უხდა იბრძოდნენ, რომელნიც აღკურვილი არიან სპეციალურად საზოგადოებრივი ნდობით. თითოეული საბჭოთა ადამიანი უნდა მონაწილეობდეს ამ ბრძოლაში. იქ, სადაც თავგასული ხულიგანი საკადრის პასუხს იღებს გარშემოყოფთაგან, ექსცესები იკლებს ან სულ მთლად ქრება.

დეპუტატებმა აღნიშნეს: სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა არაერთხელ მიგვითითა, რომ მართლწესრიგის დაცვის ზომიერი ფუნქციის სახალხო დაცვის ორგანოებისათვის გადაცემა სრულებით არ აშორებს სახელმწიფო ხელისუფლების როლსა და მნიშვნელობას სამართლის დარღვევათა და დანაშაულებრივ გამოვლინებათა წინააღმდეგ ბრძოლაში, რომ ამან არ უნდა გამოიწვიოს სოციალისტური კანონიერების შესუსტება.

სკკპ პროგრამაში, — თქვა დეპუტატმა **ო. დგებუაძემ,** — ნათქვამია, რომ „სანამ არის დამნაშავეობის გამოვლინებანი, უნდა მივიღოთ სასტიკი ზომები იმ პირთა დასასჯელად, რომლებმაც ჩაიდინეს საზოგადოებისათვის სამიში დანაშაულობანი, დაარღვიეს სოციალისტური საერთო ცხოვრების წესები, არ სურთ ეზიარონ პატიოსან შრომითს ცხოვრებას“. საჭიროა სრულად გამოვიყენოთ საბჭოთა კანონებისა და საზოგადოებრივი ზემოქმედების ძალა.

ჩვენს ქალაქში 17 ათასი რაზმელია. ეს დიდი ძალაა, მაგრამ იგი უფრო ეფექტიანი იქნება, თუ მას მხარს დაუჭერენ მშრომელები, თუ ისინი აქტიურ დახმარებას გაუწევენ მილიციის ორგანოებს მუშაობაში. მაგრამ, სამწუხაროდ, ზოგიერთი პირი ვვერდს უვლის ანტისაზოგადოებრივ საქციელს: ზოგს იმის გამო, რომ არ სურს გაიჩინოს ზედმეტი სახარუნავი, ზოგს — სილაჩრის გამო, ზოგსაც — მხოლოდ იმიტომ, რომ ამბობს ეს ჩემი საქმე არ არისო.

ჯერ კიდევ ჯეროვან დონეზე არ დგას მილიციის საქმიანობა. მილიციის ზოგიერთი მუშაკი ცდილობს შორს იყოს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვევის ადგილიდან, საპატრულო-საგუშაგო სამსახურმა უკეთ უნდა იმოქმედოს.

საჭიროა გადამწყვეტი ბრძოლა ვაწარმოოთ სპეკულაციასთან. ბაზრებში, მაგალითად, შეხვდებით გაქნილ საქმოსნებს, რომლებიც წლობით არ გადიან თბილისიდან, მაგრამ ახერხებენ სოფლის მეურნეობის პროდუქტების ყიდვა-გაყიდვას. საკითხავია, მილიციის ორგანოები რატომ არ აქცევენ ყურადღებას ამას?

შემდეგ ამხ. **დგებუაძემ** თქვა, რომ საჭიროა მომავალში უფრო აქტიურად ჩავაბათ ადგილობრივი საბჭოების დეპუტატები სოციალისტური საერთო ცხოვრების ნორმების დაცვისათვის ბრძოლაში. საბჭოთა ადამიანის საზოგადოებრივ მოვალეობა მოითხოვს ყველა ცხოვრებისადმი ობივატელური, შრომისადმი დაუდეგარი, არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულების ფაქტებს.

დეპუტატმა **ა. კორშუნამ** ილაპარაკა იმის შესახებ, თუ როგორ იბრძვის 26 კომისრის რაიონის საზოგადოებრიობა მართლწესრიგის დამრღვევთა წინააღმდეგ. მოწყობილია რაზმეული მორიგეობა კინოში, თეატრებში, საზოგადოებრივ ადგილებში. საზოგადოებრივი წესრიგის ბოროტ დამრღვევებს — ხულიგნებს, დებოშირებს დაუყოვნებელივ აძლევენ სამართალში. ასეთი ღონისძიების განხორციელებამ ხელი შეუწყო მართლწესრიგის დარღვევების შემცირებას.

ანტისაზოგადოებრივ გამოვლინებათა წინააღმდეგ ბრძოლის საკითხები ახლა უფრო ხშირად იხილება პარტიის რაიკომის ბიუროსა და პლენუმებზე, რაისაბჭოს აღმასკომის სხდომებზე. მუშავდება კონკრეტული ღონისძიებანი, რათა გავაძლიეროთ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, აღმოვფხვრათ დამნაშავეობა და სხვა გამოვლინებანი, რომლებსაც ზიანი მოაქვს საზოგადოებისათვის.

მაგრამ ეს იმას, როდი ნიშნავს, რომ რაიონის პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული ორგანოებიცა, ადმინისტრაციული ორგანოებიი სრულად აყენებდნენ ყველა შესაძლებლობას იმისათვის, რომ ძმრომელთა ფართო მასები ჩაებან საყოველთაო-სახალხო საქმეში — უახლოეს წლებში მკვეთრად შევამცირონთ, ხოლო შემდეგ სავსებით აღმოვფხვრათ დანაშაულებრივი გამოვლინებანი. ყოველი ღონისძიებით უნდა გავავრცელოთ ტუნებისა და ეზოების კომიტეტების ინიციატივა, რომლებიც უნარიანად აბამენ თავიანთ მუშაობაში მოსახლეობას, თავიანთ უბნებზე იცავენ სოციალისტური საერთო ცხოვრების ნორმებს, იბრძვიან სიუფთავისა და წესრიგისათვის. ასეთი კომიტეტები რაიონში ცოტა როდია, მაგრამ საჭიროა მათი რიცხვი გავადიდოთ. საჭიროა უფრო ენერგიულად ჩავაბათ ადამიანები საზოგადოებრივ მუშაობაში.

მშობლიური ქალაქის სილამაზისა და კულტურისათვის მომრაობა, — თქვა დეპუტატმა **ვ. მურავლიოვამ,** — ჭეშმარიტად საყოველთაო სახალხო მოძრაობა გახდა. ათასობით ადამიანი, სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლები ზრუნავენ იმისათვის, რომ თბილისი კიდევ უფრო ლამაზი და კეთილმოწყობილი იყოს, რომ ყველგან — სამუშაოზე, შინ, ქუჩაში და დასვენების ადგილებში იგრძნობოდეს წესრიგი და კულტურა. და ყველა, ვისაც კი თავისი ქალაქი უყვარს, ღრმად განიცდის, როცა ილახება მისი ქალაქის კარგი სახელი, თბილისელთა ღირსება. საქმე ეხება მუქთახორებს, ბილწსიტყვაობას, ხულიგნობასა და სხვა ამორალურ გამოვლინებებს, რომლებსაც, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ვხვდებით ჩვენს ქალაქში. მათ წინააღმდეგ საჭიროა დაარაზმოთ ნებაყოფლობითი რაზმეულების მთელი საქმიანობა.

მტკიცე საზოგადოებრივი წესრიგის დასამყარებლად, თქვა შემდეგ ორატორმა, კიროვის სახელობის რაიონის 45 დაწესებულებასა და ორგანიზაციაში შექმნილია სახალხო რაზმეულები, რომლებშიც გაერთიანებულია 2 ათასზე მეტი მუშა-მოსამსახურე. ბევრ სასარგებლო საქმეს აკეთებს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის რაზმეულის შტაბი, რომელიც მოწყობილია „საქტრიკოტაჟის“ ფაბრიკაში. რაზმეულთა უმრავლესობა ზუსტად და კეთილსინდისიერად ასრულებს თავის მოვალეობებს, მოსვენებას არ აძლევს სამართლის დამრღვევებს. საჭიროა უფრო ფართოდ გამოვიყენოთ შეძენილი გამოცდილება, სრულვყოთ ჩამოყალიბული ფორმები და გამოვნახოთ ახალი ფორმები, რომლებიც საშუალებას გვაძლევენ აქტიური ზემოქმედება მოვახდინოთ ადამიანთა ყოფაქცევაზე. ყოველი ჩვენგანის მოვალეობაა გადავაქციოთ თბილისი სანიმუშო წესრიგის ქალაქად.

დანაშავეობის მკვეთრი შეკვეცრება, ხოლო შემდეგ მისი სრული ლიკვიდაცია დიდად არის დამოკიდებული მილიციის, სასამართლოს, პროკურატურის უნარიან საქმიანობაზე, იმაზე, თუ ომდენად სწორად იყენებენ ისინი ბასრ იარაღს, როგორიც არის სასამართლო დასჯა. ამაზე ილაპარაკა **დეპუტატმა ა. ტაკიძემ.** იგი დაწვრილებით შეეხო თბილისის პროკურატურის მუშაკთა საქმიანობას კანონის დარღვევათა გამოვლინებისა და აღკვეთისათვის, დანაშაულებრივ გამოვლინებათა ლიკვიდაციისათვის, დამნაშავეობის თავიდან აცილებისათვის. მაგრამ ამ მუშაობაში ჯერ კიდევ ბევრი ნაკლია. პროკურატურის ორგანოებმა ვერ მიაღწიეს ისეთ მდგომარეობას, რომ არც ერთი დანაშაული არ დარჩეს გამოუმჟღავნებელი.

გამოძიებათა მონაცემები მოწმობენ, აღნიშნავს ამხ. ტაკიძე, რომ ბევრი დანაშაულებრივი მოქმედება იმის შედეგად ხდება, რომ საწარმოთა და დაწესებულებათა ზოგიერთი ხელმძღვანელი არ ინერს ზრუნვას კადრების სწორი შერჩევისა და განაწილებისათვის. მატერიალურად პასუხსაგებ თანამდებობებზე ზოგჯერ ნიშნავენ ადრე ნასამართლევ, სახელგატეხილ ადამიანებს.

დანაშავეობისა და სხვა სამართლის დარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლაში სულ უფრო აქტიურად ებმება საზოგადოებრიობა. მაგრამ ჯერ კიდევ როდია იშვიათი, რომ საზოგადოებრივ ორგანიზაციათა, მშრომელთა მონაწილეობას ამ საქმეში ფორმალური ხასიათი აქვს. მაგალითად, სახალხო სასამართლოები იშვიათად ნერგავენ პრაქტიკ

„ოიდიპოსის“ ახალი სიცოცხლე



იგორ სტრავინსკის ოპერა „ოიდიპოს მეფე“ — ერევნის ა. სპენდიაროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის დადგმა.

იგორ სტრავინსკის ოპერა-ორატორიის „ოიდიპოს მეფის“ სცენური განსახიერება მნიშვნელოვანი მოვლენაა საბჭოთა კავშირის მუსიკალურ ცხოვრებაში. „ოიდიპოს მეფე“ სტრავინსკიმ დაწერა 1927 წელს, იმ პერიოდში, როცა იგი ჩამოშორდა ეროვნულ თემატიკას და გატაცებული იყო მოდერნისტული მიმდინარეობებით.

სტრავინსკის „ოიდიპოს მეფე“ მეტად რთული ნაწარმოებია. არა მარტო ტექნიკურად, არამედ თავისი ჟანრის სპეციფიკითაც იგი გარკვეულ სიძნელეებს წარმოადგენს სცენაზე დადგმისათვის. ჯერ ერთი, ნაწარმოები ისეა მოფიქრებული კომპოზიტორის მიერ, რომ მისი შესრულება ხდება თითქმის უმიზანსცენოდ, პირველ პლანზე მყოფი უძრავი გუნდით და წინ წამოწეული სოლისტებით.

მთხრობელ-სპიკერს მიჰყავს მოქმედება და განმარტავს მას. ხალხი-გუნდი და მოქმედი პირები შერწყმული არიან ერთიანი გატაცებით, საერთო ემოციებით. სტრავინსკი დაბეჯითებით მოითხოვს, რომ ორატორიის გმირები მოგვაგონებდნენ „გაცოცხლებულ ქანდაკებებს“, ხოლო მოქმედება — „ცოცხალ ჰორელიეფებს“. სტრავინსკი პანტომიმის თაყვანისმცემელია, მას ანიჭებს ყველა უპირატესობას დრამის წინაშე.

ამასთან ერთად, სტრავინსკის მუსიკაში არის გარკვეული ესთეტიკური ობიექტივიზმი, კონსტრუქტივიზმი, რაც აგრეთვე მთელ რიგ ადგილებში უდიდეს სიძნელეებს უქმნის მომღერლებს, ზოგჯერ უსპობს მათთვის ბუნებრივ ემოციას, ლირიკულ გამომეტყველებას. ვოკალური პარტიები ძირითადად აგებულია მოკლე სუნთქვაზე, დაქუცმაცებულია წვრილ წარმონაქმნებად, რეჩიტატივულ რეპლიკებად. ყოველივე ეს მომღერლებისაგან მოითხოვს დიდ ვოკალურ და დეკლამაციურ ოსტატობას, რომ აღარაფერი ვთქვათ აქტიორულ უნარზე — ერთი ტრიხით, ორი-სამი ნოტით ქმნიდნენ სახეს.

მართალია, ყოველივე ამას აკავშირებს და ადიდებებს გუნდი, რომელიც სტრავინსკისათვის ტრაგედიის წამყვანი ფაქტორია. ოიდიპოსის ტრაგედიის სიღრმეს ყველაზე მკაფიოდ ხსნის ოპერის დასაწყისისა და ფინალის გუნდი, რომელიც ყველაზე შთამბეჭდავი, ყველაზე შთამაგონებელია „ოიდიპოსის“ მთელ მუსიკაში. შესანიშნავია იოკასტას არია, ამ ოპერაში ფართო კანტილენის იშვიათი ნიმუში.

ოპერის პარტიტურას ბევრი რამ აქვს ლამაზი: დამახასიათებელია მაღალი ვალტორნები, რომლებიც გუნდის მაღალი ხმების იმიტაციას ახდენენ. გამოსახვეულია ხმისა და დაფდადის ურთიერთ შენაცვლება იმ დროს, როცა ოიდიპოსი თავის დანაშაულს აღიარებს. შესანიშნავია დინამიკური კონტრასტები. ოპერის შესრულება ორკესტრის, გუნდისა და სოლისტების მაღალ პროფესიონალიზმს მოითხოვს. მთელ ამ სიძნელეებს არ შეუშინდა ერევნის საოპერო თეატრის ნიჭიერი კოლექტივი, გაბედულად მოკიდა ხელი მუშაობას და შექმნა „ოიდიპოსის“ თავისი სცენური ვარიანტი.

დამდგმელებს — რეჟისორს სომხეთის სსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს რ. ყაფლანიანს (იგი ავტორია სცენური რედაქციისაც) და დირიჟორს სომხეთის სსრ დამსახურებულ არტისტს ა. კატანიანს ყველაფერი გაუკეთებიათ, რომ დინამიკა მიენიჭებინათ მოქმედებისათვის. შეექმნათ სცენური მოძრაობის მაქსიმუმი. ამისათვის ოპერაში შეყვანილია ბალეტი, მთელი რიგი ჩართული ნომრები, სოლისტები და გუნდი სცენაზე მოძრაობენ, ხშირად შემოდიან და გადიან, გამოიყოფიან მეორე ფარდთან, რომელიც ხშირად ეშვება. ამას თავისი პლუსები და მინუსები აქვს. მთელ რიგ მოხდენილად გადაწყვეტილ სცენებში ეს ინტერესს აძლიერებს, ეფექტურობას ქმნის. ზოგჯერ კი ეწინააღმდეგება მუსიკის ხასიათს, თუ აღარაფერს ვიტყვით იმაზე, რომ ხანდახან (როგორც, მაგალითად, კრეონი თავისი პირველი გამოსვლისას) მსახიობი სცენის ისეთ წერტილში აღმოჩნდება, საიდანაც მისი ხმა არ ისმის.

ხომ საჭიროა ანგარიში გაეწიოს იმას, რომ სტრავინსკის ორკესტრობა ამ ადგილას დატვირთულია და შორს მდგომი კრეონის ხმა ორკესტრის ხმაურში აღარ ისმის. ასევე გაჭიანურებული და, შესაძლოა ზედმეტიც, გვეჩვენება ქალთა ჩართული ცეკვა მას შემდეგ, რაც იოკასტა თავს იკლავს. ეს რაღაც ორომტრიალია მარტო დასარტყმელი ინსტრუმენტების გრუხუნში. მთხრობელ-სპიკერის ხმირი შემოსვლა, რაც მოქმედების შეწყვეტას იწვევს, აგრეთვე მთელ რიგ ადგილებში სიმღერიდან ლაპარაკზე გადასვლა და, რაც მთავარია, რეჟისორული ხერხების, სცენურ მდგომარეობათა ხასიათი — ყოველივე ეს ქმნის სპექტაკლის გადაწყვეტის ისეთ სპეციფიკას, რომელიც დრამატულ სპექტაკლს უახლოვდება. ვფიქრობთ, რომ ეს სავსებით კანონზომიერი და დროულია, ვინაიდან არა გვგონია მტკიცება ესაჭიროებოდეს იმას, რომ ახლა ოპერაში მარტო მღერა აღარ კმარა, ახლა ოპერაში, ისე როგორც არასოდეს, სინთეზურად ერთიანდება ხელოვნების ყველა სახე და მომღერალს მოეთხოვება დრამატული მსახიობის მთელ რესურსებს ფლობდეს.

„ოიდიპოსის“ რეჟისორული გადაწყვეტა, აღნიშნულ საშიშროებათა და შეცდომათა მიუხედავად, დამაჯერებელია და შეესაბამება სოფოკლეს. ბერძნული ტრაგედიის ატმოსფერო, მისი მოქმედების შენელებით, ეპიკური სიუჟეტის დრამატიზაციით, გამოთქმის ლირიკულობითა და ბალადურობით — დაცულია დადგმაში. დაცულია გუნდის — როგორც განწყობილების მატარებლის როლი.

ყოველგვარი ქების ღირსია მხატვრის, სომხეთის სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ხ. ესაიანის ნამუშევარი. მას შეუქმნია მოხდენილი დეკორაციები და კოსტიუმები, რომლებიც შეესაბამება ეპოქას და ხაზს უსვამს განწყობილებას.

რამდენიმე სიტყვა მ. აკოფიანის თარგმანზე ლათინურიდან. პრინციპულად კარგია, რომ ლათინური ტექსტი რუსულ ენაზე აჟღერდა, რაც ხელს შეუწყობს „ოიდიპოს მეფის“ შედეგვას რუსულ საოპერო სცენაზე. თარგმანი ძირითადად კარგია. მაგრამ გვინდა ყურადღება მივაყოროთ იმას, რომ ადგილ-ადგილ, განსაკუთრებით ოპერის პირველ ნახევარში, ტექსტი შეხმატკბილებული ვერ არის მუსიკასთან და ზოგჯერ სომხური კილოს ელფერი დაჯკრავს. აქ, როგორც ჩანს, საჭიროა ტექსტის დამატებით დამუშავება.

ახლა სპექტაკლის მუსიკალურ მხარესა და შემსრულებლებზე. აქ ყველაფერში ჩანს სპექტაკლის მუსიკალური ხელმძღვანელის დირიჟორ ა. კატანიანის დიდი და ნაყოფიერი მუშაობა, მისი მტკიცე ხელი. ჩინებულად ჟღერს გუნდი (ხორმეისტერი სომხეთის სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე კ. კარაპეტიანი) და ორკესტრი. თითქმის ყველგან. მიუხედავად დადგმის ზემოაღნიშნული სიძნელეებისა, დაცულია ჟღერადობის საჭირო წონასწორობა. სტრავინსკის ორკესტრობა ძალიან ძნელია შესასრულებლად, რამდენადმე მშრალია, გრაფიკული, ადგილ-ადგილ მჭახე. დირიჟორზეა დამოკიდებული ის, რომ მიაგნოს ნიუანსების ისეთ გრადაციებსა და ჟღერადობის ისეთ ხასიათს, რომ მაქსიმალურად გამოავლინოს მუსიკის სილამაზე. ამას კატანიანი წარმატებით აღწევს.

ოიდიპოსის როლის შემსრულებელს სომხეთის სსრ დამსახურებულ არტისტს ს. დანიელიანს ძლიერი ხმა და კარგი სცენური გარეგნობა აქვს. სახე, რომელსაც მსახიობი ქმნის, შთამბეჭდავია. იგი კარგად მღერის და ჩინებულად ატარებს როლის ლირიკულ მომენტებს. მაგრამ ოიდიპოსის მთელი პარტია მისი გადმოცემით რამდენადმე ერთი პლანისაა. ძალიან სასურველია სცენური მოძრაობის მეტი მკაფიობა, და ტრაგიზმის, განცდის სიღრმე როლის კულმინაციურ მომენტებში, აგრეთვე მეტი კონტრასტები მღერაში.

სსრ კავშირის სახალხო არტისტი ტ. საბანდარიანი იოკასტას დასამახსოვრებელ, მომხიბლავ სახეს ქმნის. მსაზიობი სცენური გამოცდილება და ვოკალური ოსტატობა ეხმარება მას მსმენელამდე მიიტანოს ამაღელვებელი სიყვარული ოიდიპოსისა და შვილებისადმი, მთელი სიმძინელება მდგომარეობისა, რომელსაც იგი დაღუპვამდე მიჰყავს.

შესანიშნავად ჟღერს ტირეზიას პარტია სომხეთის სსრ სახალხო არტისტის ნ. ოვანესიანის შესრულებით. ეს სახე სტრავინსკის ჩამოყალიბებული აქვს ძალიან გულდასმით და რამდენადმე პირველ პლანზეა წამოწეული სოფოკლეს ტრაგედიასთან შედარებით. ნ. ოვანესიანის მძლავრი და ხავერდოვანი ხმა ჩინებულად ჟღერს. ბუნებრივი მუსიკალობა და სცენურობა შესაძლებლობას აძლევს მას გადააქციოს თავისი როლი ოპერის ერთ-ერთ ცენტრალურ როლად. პირიქით, კრეონის სახე სტრავინსკის ნაწარმოებში, სოფოკლესაგან განსხვავებით, რამდენადმე გაუფერულებულია, მიჩქმალულია, მუსიკალურადაც საკმაოდ მკაფიო ვერ არის. სომხეთის სსრ სახალხო არტისტი დ. პოღოსიანი თავის როლს ასრულებს მხატვრული ტაქტით, თუმცა ზოგჯერ მღერაში ხელს უშლის წარუმატებლად განხორციელებული მიზანსცენები.

კარგ შთაბეჭდილებას ტოვებენ ეპიზოდური როლების შემსრულებლები — მწყემსისა ვ. ამერჩიანი და შიკრიკისა გ. ალავერდიანი.

ჩინებულად ასრულებს ანტიკური გუნდის წამყვანის როლს ნ. პეტროსიანი, თუმცა პრინციპულად ვერ დაგეთანხმებით იმას, რომ ამ როლს ქალი ასრულებს. აქ უფრო შესაფერი იქნებოდა მოხუცი მამაკაცი, და ასეც აქვს მოფიქრებული სტრავინსკის.

ოპერა „ოიდიპოს მეფის“ პრემიერა ერევანში აჩვენეს 25 მაისს. ახლა იგი თბილისში მეორედ იქნა წარმოდგენილი. ვიფასებთ რა ამ დადგმას როგორც ისეთ მოვლენას, რომელიც რესპუბლიკის ფარგლებს სცილდება, ვუსურვებთ დამდგმელ ჯგუფს კიდევ უფრო დახვეწოს სპექტაკლი, მოიფიქროს და საბოლოოდ დაამუშაოს ზოგიერთი მისი დეტალი (მაგალითად, მოხსნას ქალთა ჩართული ცეკვა, რომელიც სპექტაკლის სტილს არ შეესაბამება, უფრო ნაკლებად გამოჰყოს ხოლმე მეორე ფარდით ხალხი მოქმედი პირებისაგან, რათა არ გაწყვიტოს მოქმედების ერთიანობა, ოიდიპოსის განცდათა კავშირი ხალხთან. შეცვალოს ზოგიერთი მიზანსცენა, რომ მომღერალთა ხმა უკეთ ჟღერდეს).

კომპოზიტორი

ა. შავერზაშვილი,

საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.

* * *

სურათზე: სცენა სპექტაკლ „ოიდიპოს მეფიდან“. ოიდიპოსი — ს. დანიელიანი, იოკასტა — ტ. საბანდარიანი.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

„არშავა მეორე“

ეკატერინა ეროველოვა, — რეპერტუარის — ამორჩევა, საქმიანობა

გუშინ ერევნის ა. სპენდიაროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურმა თეატრმა თავისი საგაპტროლო რეპერტუარის მორიგ სპექტაკლად თბილისში წარმოადგინა ცნობილი სომეხი კომპოზიტორის ტ. ჩუხაჯიანის ოპერა „არშავა მეორე“.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ეს ოპერა, რომელიც 95 წლის წინათ არის შექმნილი, მხოლოდ 1942 წელს აღმოაჩინა სომეხმა მუსიკათმცოდნემ, პროფესორმა გ. ტიგრანოვმა და დასადგმელად გადასცა ერევნის საოპერო თეატრს, ხოლო მისი პირველი დადგმა განხორციელდა ამავე თეატრის სცენაზე 1945 წელს და დიდი წარმატებაც ხვდა. მას შემდეგ ოპერა მტკიცედ დამკვიდრდა ერევნის ოპერის თეატრის რეპერტუარში.

თბილისელები დიდი მოწონებით შეხვდნენ ჩუხაჯიანის გმირულ ოპერას. მსმენელები მხურვალედ მიესალმნენ მთავარი პარტიების შემსრულებლებს. სპექტაკლში მონაწილეობდნენ რესპუბლიკის სახალხო არტისტი მ. ერკათი (არშავ მეორე), სსრ კავშირის სახალხო არტისტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ტ. საბანდარიანი (ფარანდემი), მსახიობები ა. არუთინიანი (ოლიმპია), ა. პერჩჩიანი (ტირატი), რესპუბლიკის სახალხო არტისტი დ. პოდოსიანი და სხვ.

სპექტაკლის დადგმა ეკუთვნის რესპუბლიკის სახალხო არტისტს, პროფესორ ვ. ვართანიანს, მხატვრობა — ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, სახელმწიფო პრემიის ლაურეატს ს. მირზოიანს, ხორმეისტერია კ. კარაპეტიანი. სპექტაკლს დირიჟორობდა რესპუბლიკის სახალხო არტისტი ს. ჩარეკიანი.

სპექტაკლმა აღმავლობით ჩაიარა და თბილისელი მაყურებლის მოწონება დაიმსახურა. შესანიშნავად ჟღერდა მუსიკა, მსახიობებმა აჩვენეს კარგი საშემსრულებლო ხელოვნება.

* * *

დღეს ნაჩვენები იქნება ვერდის ოპერა „ტრავიატა“.

არამ ხაჩატურიანი: გულითადი სალამი საყვარელ თბილისს

გამოჩენილი საბჭოთა კომპოზიტორი, ლენინური პრემიის ლაურეატი არამ ხაჩატურიანი, რომელსაც დღეს მთელ მსოფლიოში იცნობენ და პატივს სცემენ, როგორც ჭეშმარიტად დიდ შემოქმედს, სამოცი წლისაა.

არამ ხაჩატურიანის მუსიკა ღედამიწის ყოველ კუთხეში ჟღერს. ბალეტები „გაიანე“, „სპარტაკი“, მრავალი სავიოლინო და საფორტეპიანო კონცერტი, სიმფონია და განსაკუთრებით ოცდამეშვიდე, „ზაზნალაკიანი სიმფონია“ ხალხის უსაყვარლესი, საქვეყნოდ ცნობილი ქმნილებებია.

„ჩემი მუსიკა ამიერკავკასიაში, კერძოდ თბილისში იღებს სათავეს“, — წერს კომპოზიტორი, თბილისი კი სამშობლოა „გაიანესა“ და „სპარტაკის“ ავტორისა. არამ ხაჩატურიანი დაიბადა 1903 წლის 6 ივნისს თბილისში, ხელმოკლე მუშის ილია ხაჩატურიანის ოჯახში და თბილისშივე ცხოვრობდა 1921 წლამდე, ვიდრე სომხურ დრამატულ სტუდიაში მოსწავლე ახალგაზრდობის ჯგუფთან ერთად მოსკოვს გაემგზავრებოდა უმაღლესი მუსიკალური განათლების მისაღებად.

აკი თვითონვე ამბობს დღეს საქვეყნოდ სახელმოხვეჭილი კომპოზიტორი, სომხურთან ერთად ჩემს მუსიკას ქართული ხალხური სიმღერის მადლიც სცხია.

გუშინ **„კომუნისტის“** რედაქცია მოსკოვში ტელეფონით დაუკავშირდა **არამ ილიას-ძე ხაჩატურიანს,** ქართველი ხალხის სახელით, ჩვენი გაზეთის კოლექტივისა და მკითხველების სახელით გულითადად მიეფოცა საყვარელ კომპოზიტორს დაბადების მესამოცე წლისთავი, მთავრობის უმაღლესი ჯილდო — ლენინის ორდენი.

— გულითადი მადლობა უურადღებისათვის, პატივისცემისათვის, — თქვა არამ ხაჩატურიანმა, — დღეს ზეიმი მაქვს, ჩემი დაბადების დღეა, სამოცი წლისა გავხდი და, ბუნებრივია, ვიგონებ განვლილ გზას, პირველ რიგში კი საყვარელ თბილისს, საიდანაც ამ გზას დავადექი, მშობლიურ ქალაქს, რომელსაც ჩემი ბავშვობაც ახსოვს და სიჭაბუკეც.

თბილისში მრავალი მეგობარი მყავს. ალბათ ამიტომაც თითქმის ყველაზე მეტი დეპეშა თბილისიდან მივიღე, რაც ჩემთვის მეტად ძვირფასი და მრავლისმთქმელია.



ამ დღეებში ეურნალ-გაზეთებიდან ხშირად მირეკავენ და მეკითხებიან, რაზე მუშაობთ ახლა და უახლოეს ხანს რას აპირებთო? ჩვეულებრივად ვზივარ და მუსიკას ვწერ. უახლოეს ხანსაც კვლავ მუსიკას დავწერ. ხოლო რას ვწერ, ამას ჯერ ვერ ვიტყვი. წინასწარ ძნელია ლაპარაკი.

ახლა ჩემი მთავარი საზრუნავი ის არის, რომ ვიმუშაო რაც შეიძლება მეტი. ჩემი შრომით, ისევ და ისევ მხოლოდ შრომით ვუპასუხო ქვეყნის, ხალხის სიყვარულს, პატივისცემას და დაფასებას, რაც, ბუნებრივია, ძალიან ბევრს მავალებს.

როგორც ვიცი, ახლა თბილისში საგასტროლოდ არის ჩამოსული ერევნის ალ. სპენდიაროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი, ხოლო თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის საოპერო თეატრი ერევანშია საგასტროლოდ. ეს ძალიან კარგი საქმეა. მინდა გულით მივესალმო ამ კარგ საქმეს. ერევნელებს რეპერტუარში აქვთ ჩემი ბალეტი „სპარტაკი“, რომელიც ალბათ უკვე ნახეთ და მოიმარნეთ. ასე რომ, თუ შეიძლება ითქვას, დაუსწრებლად მეც მანდ ვარ, თბილისში.

ჩამოსვლით კი წელს შემოდგომაზე, ოქტომბერ-ნოემბერში უეჭველად ჩამოვალ და რამდენიმე საავტორო კონცერტს გავმართავ.

გადაეცით ჩემი გულითადი მადლობა და სალამი ქართველ ხალხს, საყვარელ თბილისს, „კომუნისტის“ მკითხველებს, რომლებიც ალბათ ჩემი მუსიკის მსმენელებიც არიან.

თრი მიდგომა დიდმნიშვნელოვანი პროგლემისადმი

ჟენევა, 5 ივნისი. (საკდესი). აქ ერთა სასახლეში გაიმართა 18 სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტის 140-ე პლენარული სხდომა. სხდომის დასაწყისში მოლაპარაკების მონაწილეებმა სამეიმარი გამოთქვეს პაპის იოანე XXIII-ის გარდაცვალებასთან დაკავშირებით.

ჟენევის მოლაპარაკების მონაწილეებმა შემდეგ დაიწყეს იმ საკითხის განხილვა, თუ რა ღონისძიებანი უნდა განხორციელდეს ატომური განიარაღების დარგში საყოველთაო და სრული განიარაღების პირველ ეტაპზე.

ამ საკითხზე კამათში მონაწილეობა მიიღეს ბულგარეთის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებმა.

საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა ს. კ. ცარაპკინმა მკვეთრად გააკიცხა ამერიკისა და ინგლისის წინადადებანი ატომური განიარაღების შესახებ საყოველთაო და სრული განიარაღების პირველ ეტაპზე. როგორც ცნობილია, ინგლის-ამერიკის ეს წინადადებანი იმით ამოიწურება, რომ შეწყდეს ხლეჩადი მასალების წარმოება სამხედრო მიზნებისათვის და შეერთებულმა შტატებმა და საბჭოთა კავშირმა 50-50 ტონა ეს მასალა გადასცენ მშვიდობიანი გამოყენებისათვის. საბჭოთა დელეგატმა აღნიშნა, რომ ეს ღონისძიება, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის წარმომადგენლებს შემოაქვთ, ოდნავაც ვერ ანელებს რაკეტულ ატომური ომის საფრთხეს, რადგან არც ერთი ბომბი არ იქნება ამოღებული ან მოსპობილი ინგლის-ამერიკის ამ წინადადებათა განხორციელების შედეგად.

შემდეგ ს. კ. ცარაპკინმა დაწვრილებით ჩამოაყალიბა საბჭოთა დელეგაციის პოზიცია ამ საკითხში. საბჭოთა კავშირი, აღნიშნა მან, ითვალისწინებს რა ატომური ომის საფრთხის რაც შეიძლება მალე და საბოლოო აღმოფხვრას, სახავს სრული ატომური განიარაღების გზას, რომელიც გულისხმობს ატომური იარაღის სრულ აკრძალვას და მის ხლეჩადის ერთ-ერ ეტაპზე, ხოლო ეს ეტაპი, ანუ ეს ეტაპი, ეს ეტაპი, ეს ეტაპი,

საბჭოთა საქართველოში

ჩვენი მკითხველები და კორესპონდენტები გვატყობინებენ

ყოველი მესამე მუშა სწავლობს

ქუთაისი. (საკ. კორ.). ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის მუშებმა გ. ჯიმშარიანმა, შ. ნინოამ და რ. ოსტაფამ წარმოებისაგან მოუწყვეტლივ დაამთავრეს პოლიტექნიკური ინსტიტუტი. ახლა ქარხანაში მაღალკვალიფიცურ სპეციალისტებად ითვლებიან და ხელმძღვანელ ოსტატზე მუშაობენ.

მიმდინარე წელს ინჟინრის დიპლომს მიიღებენ ლითონების გამწვეე-დამამზადებელი საამქროს ოსტატი შ. გეგეშიძე, № 1 საწნეხე საამქროს მექანიკოსი ღ. გიორგაძე, ავტომატების საამქროს უფროსი ნორმადარი ნ. ჯიქია, ქარხნის მთავარი მექანიკოსი განყოფილების ტექნოლოგი ზ. ბაქრაძე და სხვები.

ამყამად პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და ავტომექანიკური ტექნიკუმის საღამოს

მაპაცი მონადირეები

თელავი. (საკ. კორ.). ამას წინათ სოფელ ართანის კოლმეურნე მონადირეებმა ილია ჩახუტაშვილმა და ბიძინა დიასამიძემ იარაღი აიხეს და კავკასიონის „ძმადნაფიცი" მთებისაკენ გასწიეს. „საყორნის" თავზე მონადირეები მეცხვარეებს გამოესაუბრნენ. მწყემსებმა უთხრეს, რომ დათვები მოსვენებას არ გვაძლევენო. მხეცების ასაველ-დასავალი ზუსტად დაადგინეს.

მონადირეებმა „საყორნეში" მეძებრები გაუშვეს, თვითონ კი მოხერხებულ ადგილებში ჩასაფრდნენ. მალე ძაღლებმა ყეფა: მოროეს, მხეცის ბუნაგი მიიკვლიეს. ოცოდე წუთი და უჯარმაზარი ძუ დათვი ილია ჩახუტაშვილს მოუახლოვდა. მას სამი დათვი მიჰყვებოდა. ფიქრის დრო აღარ იყო. ერთი გასროლა და „წინამძღვარი" უსულოდ დაეცა. მეორემ იერიში მიიტანა მონადირეზე. მაგრამ ამაოდ, ტყვია შუბლში მოხვდა. ორმა დათვმა კი ღრმა ხეობას მიაშურა, მაგრამ ბიძინა დიასამიძეს ვერრად გაექცნენ. მარჯვე გასროლით ორი დათვი წააკლა.

ილია ჩახუტაშვილმა „საყორნეში" დათვებთან ბრძოლის ფიბლეე გადაიხადა. აქ მან მეორასე დათვი მოჰკლა.

გავშვი გადაარჩინეს

ბურჯაანი. (საკ. კორ.). პატარძეულის სკოლის მოსწავლეებს გზაში ნვიმამ მოუსწრო. ორი მათგანი ხიდქვეშ შეეფარა. ხუთი წუთიც არ გასულა, რომ კილმატის ხევის აკაფებულმა ტალღებმა ხიდს მიადწია. მახლობლად მცხოვრებლებმა ყვირილი ატეხეს. მალე დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი. მოსწავლე სახურფოშვილი წყალმა ხიდისქვეშიდან გამოიტაცა. იგი კოლმეურნეებმა გამოიყვანეს.

მეორე კლასის მოსწავლე დათო მთვრალაშვილი ხიდის რკინა-ბეტონში შემორჩენილ მავთულს ჩაბღაუჭებოდა და ხელს არ უშვებდა, მღვრიე მდინარეს ყელამდე მიეწია. წყალი თანდათან მატულობდა. ბავშვის დედა მარიამ მთვრალაშვილი გულსაკლავად გაკვირდა, შვილის გადარჩენის იმედი დაეკარგა.

გიორგი მასხოშვილმა, მიხეილ ჭინჭარაძემ, რამან და არჩილ მუჩიაშვილებმა იმარჯვეს, ხიდის ქვეშ შეაღწიეს და პატარა დავითი დაბრჩობას გადაარჩინეს.

მოკლედ

□ ტყიბული. (საკ. კორ.). ორჯონიკიძის სახელობის შახტში ამ დღეებში მოეწყო კითხვა-პასუხის საღამო. იგი მიეძღვნა სისხლის სამართლის და შრომის კანონმდებლობის დაცვის საკითხებს. შემოსულ კითხვებზე პასუხი გასცეს ქალაქის პროკურორმა ვ. რაზმაძემ, შახტკომის თავმჯდომარემ არ. ყორყოლაძემ და ნორმადარმა ვ. ტყაბლაძემ.

□ ამბროლაური. კარგად იმუშავა მიმდინარე წლის პირველ კვარტალში ამბროლაურის რაიონის კავშირგაბმულობის ახალმა გამსხვილებულმა კანტორამ (უფროსი აკ. მემანიშვილი).

პირველ კვარტალში ყველა ოპერაციის გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის რაიკანტორის მუშაკებს საზეიმო ვითარებაში გადაეცათ საქართველოს კავშირგაბმულობის სამინისტროს გარდამავალი დროშა.

აკ. კერესელიძე.

დიდი მოგება

ზესტაფონი. (საკ. კორ.). მოქალაქე ავთანდილ სერგის-ძე ხარატიშვილმა ზესტაფონის ცენტრალურ შენახვეულ სალარაში წარადგინა 1963 წლის მესამე გამმრეების ლატარიის ბილეთი, რომელსაც მოგებად ხვდა მსუბუქი ავტომანქანა „მოსკვიჩი".

ბ ო ლ ო ნ ი ს ი

... ქართული ... ...

... ...

... ...

...